ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2252888

ნომერი: AR1349041

თარიღი : 13.10.2015

გაცემის თარიღი : 27.10.2015

გაცნობის თარიღი : 28.10.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აღმართი მეტეხი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ მაჭარაშვილი პ/ნ 01021012786
- თბილისი თემქა IV მ/რ კორ. 4 ბ. 60

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 13 ოქტომბრის AR1349041 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.17.01.117.039 მიწის ნაკვეთზე არსებული რესტორნის სარეკონსტრუქციოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ასევე ქალაქთმსენებლობითი პარამეტრების მომატებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. გამომდინარე აქედან, საკითხი განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“–ს სხდომამ. მათი გადაწყვეტილების შესაბამისად ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.17.01.117.039 მიწის ნაკვეთზე არსებული რესტორნის სარეკონსტრუქციოდ, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის და ქალაქთმსენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხი გადაწყდა უარყოფითად და მიეცა განმეორებითი განხილვის შესაძლებლობა, საბჭოზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით (იხ. დანართი).

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ოქმის რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, ახალი განაცხადით საკითხი კვლავ გადაგზავნილი იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“–ს სხდომაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.